


CM 14 Extra



CM 14 Extra

წებოკერამიკული და კერამოგრანიტის ფილისათვის შიდა და გარე სამუშაოებისათვის - Fiber Forces მინაბოჭკოვანი დანამატით

თვისებები

- გააჩნია მაღალი ადჰეზიურობა
- წყალმდეგი და ყინვაგამძლე
- მდგრადია ფილის ჩამოცურების მიმართ
- შეიძლება გამოყენებულ იქნას გამათბობლიან მოჭიმვებზე
- გამოსადეგია შიდა და გარე სამუშაოებისათვის
- ეკოლოგიურად უსაფრთხოა



გამოყენების არეალი

წებო Ceresit CM 14 განკუთვნილია ნებისმიერი ტიპის კერამიკული ფილების, კერამოგრანიტის, ხელოვნური და ბუნებრივი ქვის დასამაგრებლად ზომით 45x45 სმ-მდე, კედლებზე და იატაკებზე, შენობების შიგნით (ნესტიანი ნაგებობებისა და გამათბობლიანი მოჭიმვების ჩათვლით) და გარეთ. **მნიშვნელოვანია! 60X60 სმ-დე ფორმატის ფილებზე შესაძლებელია გამოყენება სამუშაო პირობების, ადგილის გათვალისწინებით - მიმართეთ მწარმოებელს რეკომენდაციისთვის.** გამოიყენება არაღებორმირებად ბეტონისა და ცემენტის საფუძვლებზე, მათ შორის რომლებიც დამზადებულია მათზე ჰიდროსაიზოლაციო საფარებით მასალებისაგან Ceresit CR 65, CR 68 და CL 51. ქვის ფერადი ჯიშებისგან და მარმარილოსგან დამზადებული ფილების დასამაგრებლად რეკომენდებულია Ceresit CM 115-ის გამოყენება.

საფუძვლის მომზადება

საფუძვლის მომზადება და შემდგომი მოსაპირკეთებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს მშენებლობაში მოქმედი ტექნიკური სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საფუძველი უნდა გაიწმინდოს იმ ნივთიერებისაგან, რომლებიც აქვეითებენ წებოს ადჰეზიურობას (მტვერი, მარილები, ბიტუმი და ა.შ.). არამტკიცე უბნები და ანაშრეკები უნდა მოცილდეს. არათანაბარი ადგილები 5 მმ-მდე სიღრმის არა უადრეს 1 დღე-ღამისა ფილის დამაგრებამდე უნდა მოსწორდეს წებოთი. უთანაბრო ადგილები 5 მმ-ზე მეტის კედლებზე რეკომენდებულია მოსწორდეს ბათქაშით Ceresit CT 24 ან CT 29-ით, ხოლო იატაკებზე Ceresit CN ჯგუფის მასალებით. ქვიშა-ცემენტის მოჭიმვები და ბათქაშები (ასაკი ≥ 28 დღე, სინოტივე $\leq 4\%$), ბეტონი (ასაკი ≥ 3 თვე, სინოტივე $\leq 4\%$), მაღალი შემწოვი უნარის არსებობისას, უნდა დამუშავდეს გრუნტით Ceresit CT 17.

სამუშაოთა შესრულება

ნარევის მოსამზადებლად იღებენ ზუსტად მოზომილი სუფთა წყლის რაოდენობას ტემპერატურით +10-დან +25°C-მდე. მშრალ ნარევს თანდათანობით ამატებენ წყალში და ურევან, ერთგვაროვანი ბუშტუკების გარეშე ნარევის მისაღებად. გადარევას აწარმოებენ მიქსერით ან თავაკიანი ბურღით ბრუნვის სიჩქარით 400-600 ბრ/წთ. შემდეგ აყოვნებენ ტექნოლოგიური პაუზით დაახლოებით 5 წუთით მასის დასამწიფებლად და გადაურევან კიდევ ერთხელ.



CERESIT_CM 14_01_2020

წებოს აფენენ საფუძველზე გლუვი შპატელით და აპროფილებენ სავარცხლისებრ სტრუქტურას კბილებიანი შპატელით. კბილანების ზომას არჩევენ ფილების ზომების შესაბამისად (იხ. ცხრილი). გარე სამუშაოების დროს რეკომენდებულია გამოიყენოთ დამაგრების კომბინირებული ხერხი (ანუ წებოს თხელი მყარი ფენის დამატებითი დაფენა ფილების სამონტაჟო ზედაპირზე). ფილები არ დასველოთ! ფილებს ალაგებენ წებოზე და აჭერენ არა უფვიანეს 20 წუთისა მისი დაფენიდან. ფილის მდგომარეობა შეიძლება დაკორექტირდეს 20 წუთის განმავლობაში დაწყობის შემდეგ, არ შეიძლება ფილების პირი პირზე დალაგება! ნაკერების სიგანეს ადგენენ ფილების ზომებისა და ექსპლუატაციის პირობების მიხედვით ნაკერების ამოსავსებად აუცილებელია Ceresit CE ჯგუფის პროდუქტების ან უნივერსალური სილიკონის ჰერმეტიკის Ceresit CS 25 MicroProtect-ის გამოყენება. წებოს ახალი ნარჩენები ადვილად ირეცხება წყლით, გამხმარის მოშორება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

რეკომენდაციები

სამუშაოები უნდა შესრულდეს მშრალ პირობებში, ჰაერისა და საფუძვლის ტემპერატურაზე +5-დან +30°C-მდე და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობისას არაუმეტეს 80%-ისა. მოპირკეთების მოწყობის დროს გამათბობლიან მოჭიმვებზე გათბობა უნდა იყოს გამორთული სამუშაოს დაწყებამდე არანაკლებ 48 საათით ადრე და ჩართოს არაუადრეს 72 საათისა მათი დასრულების შემდეგ. შეფუთვაზე ნაჩვენები ხარისხის ყველა მონაცემი და რეკომენდაციები მართებულია გარემოს ტემპერატურისათვის +20°C ($\pm 2^\circ\text{C}$) და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას 55% ($\pm 5\%$). სხვა პირობებში შესაძლებელია მოხმარების დროის, კორექტირებისა და წებოს თავისუფალი დროის ცვლილება, ასევე მოპირკეთების მზადყოფნის დროისა ნაკერების ამოსავსებად.

შენახვის ვადა

შენახვის ვადა მშრალ პირობებში ორიგინალურ დაუზიანებელ შეფუთვაში - არაუმეტეს 12 თვისა დამზადების დღიდან.

შეფუთვა

მშრალი ნარევი CM 14 - მიეწოდება მრავალშრიან 25 კგ-ის ტომრებში

ტექნიკური მახასიათებლები

Ceresit CM 14 EXTRA	ცემენტის, მინერალური და მოდიფიცირებადი დანამატების ნარევი
შემრევი წყლის რაოდენობა:	5,5 – 6,0 ლ მშრალი ნარევის 25 კგ-ზე
მოხმარების დრო:	არანაკლებ 2 საათი
გამოყენების ტემპერატურა:	+ 5-დან + 30°C
ღია დრო:	დაახლოებით 20 წუთი
კორექტირების დრო:	დაახლოებით 20 წუთი
ფილის დაფურება:	არაუმეტეს 0,5 მმ
ნაკერების ამოვსება:	24 საათის შემდეგ
ადჰეზიურობა ბეტონის მიმართ 28 დღე-დამის ასაკის:	არანაკლებ 1,0 მპა
ადჰეზია გაყინვა-გალხობის ციკლების შემდეგ:	არანაკლებ 0,5 მპა*
ექსპლუატაციის ტემპერატურა:	- 50-დან + 70 -მდე

საშუალო ლაბორატორიული შედეგები:

ადჰეზია 24 საათის ასაკის ბეტონის მიმართ:	0,6 მპა
ადჰეზია 28 დღის ასაკის ბეტონის მიმართ:	1,4 მპა
ადჰეზია წყალში გაჩერების შემდეგ:	1,3 მპა
ადჰეზია გაყინვა-გალხობის ციკლების შემდეგ:	1,3 მპა
ადჰეზია ტემპერატურული ზემოქმედების შემდეგ:	1,1 მპა

Ceresit CM 14 მშრალი ნარევის საორიენტაციო დანახარჯი ფილის ზომის მიხედვით:

ფილის მხარის სიგრძე, სმ	შპატელის კბილის ზომა, მმ	ხარჯი, კგ/მ ²
5-მდე	3	დაახლოებით 1,7
10-მდე	4	დაახლოებით 2,5
15-მდე	6	დაახლოებით 2,7
25-მდე	8	დაახლოებით 3,2
30-მდე	10	დაახლოებით 4,2
45-მდე	12	დაახლოებით 5,2

პროდუქტი შეიცავს ცემენტს და, წყალთან ურთიერთობისას, იძლევა ტუტე რეაქციას, ამიტომ, მასთან მუშაობის დროს, აუცილებელია თვალებისა და კანის დაცვა. თუ ნარევი თქვენს თვალში მოხვდება, ჩამოიბანეთ ისინი წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ყველა მითითებული ხარისხის ინდიკატორი და რეკომენდაცია მოქმედებს + 20 ° C – ს ტემპერატურაზე და 60% –ზე შედარებით ტენიანობაზე სხვა პირობებში, მასალის ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მითითებულიდან.

ტექნიკური აღწერილობის გარდა, მასალასთან მუშაობისას, თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ შესაბამისი სამშენებლო კოდექსითა და დებულებით. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ტექნოლოგიასთან მუხრულებლობა მასალასთან მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ტექნიკური აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისათვის და პირობებში. თუ უჭვი გეპარებათ მასალის კონკრეტული გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, თქვენ უნდა შეამოწმოთ იგი საკუთარ თავს, ან გაიარეთ კონსულტაცია მწარმოებელთან. ტექნიკური აღწერილობა, ისევე როგორც წერილობით დაუდასტურებელი რეკომენდაციები, არ შეიძლება გახდეს მწარმოებლის უპირობო პასუხისმგებლობის საფუძველი. ამ ტექნიკური აღწერილობის გარეგნობით, ყველა წინა მათგანი ძალადაკარგულად იქცევა.



Henkel Building Chemicals Georgia LLC. საქართველო, 1320, გარდაბანი, სოფელი მარტყოფი.

ხარისხი პროფესიონალებისათვის